გიორგი ქავთარაძე

მთვრალი სანთლები

ლექსები

(ნაწილი პირველი:
50-იანი, 60-იანი, 70-იანი წწ.)

თბილისი

1980

© გიორგი ლ. ქავთარაძე/Giorgi Leon Kavtaraze/George Kavtaradze

ლექსი მელიაზე

ცხელია, ცხელია,
წამო ჩემო მელია.
წამო მელია, წამოდი
ეურძენი ჭამე ვენახში.
წამო მელია, მელიან
მოთმენა გამომელია!

1951

შამქორი

როს საქართველოს დაეცა მტერი
და ჰონტოს ზღვიდან დარუბანდამდე
ქართველმა ხალხმა ისხა აბჯარი,
მეფე თამარი, მეფე ბრწყინვალე,
ბედს განაგებდა ბრძნულად ქართლისა.

მაშინ დავითი დიდი სარდალი,
შამქორის ველზე მტერს ამარცხებდა
სისხლი მოსჩქეფდა ნიაღვარებად
და აბუბექრმა დასტოვა ველი.

მაშინ სინათლემ გააჰო,
ზეცა წუვდიადით მოცული,
მაშინ დამკვიდრდა მშვიდობა
ქართლში მრავალჯერ ნატრული.
მაშინ გაბრწყინდა დიადი
ვარსკვლავი ჩვენი ქართული!

03.12.1959

ქარიშხალი ზღვაზე

ზღვა ბობოქრობდა, ქაფებს ისროდა,
ტალღა გრიალით ტალღას ეკვროდა,
ზღვა დაჭრილ მხეცსა დამსგავსებოდა
საბრძოლველად რომ ემზადებოდა.

მზე ღრუბლებში ესენებოდა,
მათ გრიგალი ერეკებოდა.
ლურჯი ცა თეთრით ინაცვლებოდა,
ქარიშხალი კი მლიერდებოდა!

03.12.1959

ლექსი თარხაჯაზე

გაბირო ტქაბატა
მოშორდი თარხაჯა,
საჰ-ეორა ჩატაკა, -
ძიღვაი შაწაფა.

ტალდიროდ მილბერი,
ნთაგანან აუერუ,
ბაჰქალჩაფ ზიჯღერი
დაეცა ვეკ-კეთრუ!

ჩამ, ჩაფ, ტაუ -
წარავატაგ,
აღდეგი წახ,

ახვარატაკ...

აუ, აუ, აუ, აუ,
ჯაო, ფაო, წაუ;
გაგ-ჟაგვარაგ,
მაო, მაუ-მაუ!..
შაჰფ.

25.10.1966

* * *

საქართველოში მთვარე ჩასულა
ღრუბელთა ლაშქარს მთანი ვერ უძლებს.
ჯანღი ხეობად ჩამოწოლილი
ბურუსია თუ მთვარის ნაფიქრი,
მიწას ადნება თუ ზედ დასტირის.

ამბობენ, თოვლი მთებში მოსული
ზვავად იქცევა ალბათ როდესმე...

მთებს გააჟრჟოლათ ზართა რეკვაზე, -
ზარები რეკენ გუდამაყარში...
ირმის ნატერფალს წყალი უჩნდება...
ზარებს რეკავენ ლაშარის ჯვარზეც...

ამბობენ ზვავი ხევში მოსული
ზვავად იქცევა ისევ ოდესმე...

04.02.1967

* * *

მცხეთის ჯვარს ორბმა გადაუფრინა,

დაფ-დაფნი დაკრეს წიწამურიდან,
ეანებს სიწითლე ისევ ედება,
ბერის ციხესთან იწვის ბალახი...

სამთავისიდან ისმის გოდება,
ცას ეცილება ვარსკვლავ-მარიხი.

ქართლს დაეფარა თეთრი სუდარა, -
ანგელოსებმა იწუეს მუდარა.
ენთო სანთლები სვეტიცხოველში

მზე მიგორავდა დიღმის ველებში...

04.02.1967

არმაზი

ტეხილი კლდენი ბაგინეთისა,
შავი ღრუბელი არმაზის თავზე, -
ლალის თვალები რისხვით სავსე აქვს,
მას აღარ უნდა აღარცერთი მზე...

თუ სარკინეთსა რკინა ვერა სჭრის,
ის გაიჭრება არმაზის ტანით;
არმაზი ზადენს არ სთხოვს წეალობას,
ზედაზნის ცაზე მიჰქრის ტატანით.

არმაზი დნება ოქროს ალმურით,
ოქროს წვეთები მტკვარს უერთდება, -
ზორზოხა მთებზე ელვა დარგული
ისევ წეკდიდში უჩინარდება.

არმაზის სევდაც წეალს ჩაეძირა,
ცაში გაჰკივის ქალდეს ღვთაება...

04.02.1967

სოფელო მდგარო ტეხურას ჰირას

შავი ზღვის ზვირთი ნაპირს ამოსწყდა,
შავბნელმა მთებმა თავი დახარეს,
შენი სახელი არ მავიწყდება
სოფელო მდგარო ტეხურას ჰირას.

მიწა სველდება ცრემლების თქეშით,
შავი ზღვის ტალღა აღარ მღერს ლაღად,
მგლები ემუიან უსიერ ტყეში,
ტეხურში მირბის წითელი ტალღა...

ოქროს საწმისი კოლხეთს გასცილდა,
შავი ფოთლები ტოტებს ეკვრიან,
მეცხოვნეებს დააცხრათ ელდა -
აეტის ეტლსა აღარ ელიან...

დღე ჩაიძირა, ღამე იცინის,
კოლხთა გოდების ჭაობი ჩნდება,
სოფელო მდგარო ტეხურას ჰირას
შენი სახელი არ მავიწყდება!..

06.02.1967

* * *

გომბორის ღამეს ვარსკვლავი სცვივა,
გრემის კედლები მოლმა დაჰფარა;
კახეთში წნორებს რამ შეაცივათ

ფრთა მოეტეხა ცაში ჯაფარას.

ხმალი ჩაეფშვნა ხელში უუბასარს, -
ნაეივჩაღარსა ბედმა უმუხთლა.
არწივი ითმენს სვავთა მუქარას,
რაშის ფლოქვებმა მიწა დათხარა...

ნეკრესის სპანი მთებში გარბიან,
ივრის ჭალებში ღვინო იღვრება;
კახეთს ხატები არად არგიან,
მარტყოფში ხნული დარდით ივსება...

10.02.1967

* * *

მესხეთს აშენდა ციხე, აწეური, -
ანატოლიის ქვიშის ალმურით.
გარდასულ რასის არი სადგური
ტაო-კლარჯეთში თითო აგური.

ხეთის პროფილი ქვამ ამოიჭრა,
ამოიკაწრა გულზე ჭრილობად;
სამცხეს რამდენი თავი მოიჭრა,
რა ბევრჯერ იქცნენ ხატნი ჭილობათ.

ქარმა გააღო ტბეთში ჭიშკარი,
ოლთისის მრევლი წვიმად მოსულა.
ხეთის ნაკვალი აღარსად არი,
სამცხიდან ხეთი მცხეთას წასულა.

ინგრევა სამცხეს ციხე - აწეურის
და მის აღსგომას ელის მთა-ველი;
მთვლემარე რასის არის სადგური
ტაო-კლარჯეთში თითო მტკაველი...

21.02.1967

* * *

დოლზე დაუკრეს წვიმის წვეთებმა,
ფოთლების იწუეს ლოკვა.
ტბა დააცხრილა ტევიით კვეთებამ,
ტალღების ატედა ტოკვა.
ღრუბელთა იეო სულისკვეთება,
ქვას რო დაეწეო როკვა.

წვიმა უკრავდა დოლზე,
ჩამოჰყვა წვეთი ტირიფის ტოტებს,
მეხსა დავარდნილს მოლზე
ის ზიარებით დაჰპირდა მოწებს.

მზე - აღარ არის გონზე,
მზე დაეფარა დანისლულ მონმებს...

27.02.1967

* * *

მწითური ცხენის შავი ზრახვება,
დიდი ტრამალი ქონდრისკაცებით,
სიგიჟე ღვთისა ამას რას შვრება
გახელებული გუნდით ვაცების.
ქარს ვერ მოსტაცეს მათ უაბალახი,
წაღები ეცვათ ფეხზე ტალახის...
.....
აპოკალიპსის არავის სჯერა, -
ჯერ არ გაზრდილა ცეცხლში ბალახი...

27.02.1967

ქიმერები

არ მასვენებენ არაოდეს მე ქიმერები
მთვრალეულ ბოდვით მთვარეული სევდის მომგვრელნი
და მეჩვენება ღამურის ფრთების,
ღამე ღრუბლებში იკვეთება სილუეტები...
დავუფლებულვარ უსივროცებას მთელი შეგრძნებით -
გამირჩევია უფსკრულისგან უსასრულობა,
მომწონს გოლგოთას ჟანგიანი სახრჩობელები
მთის ფერდობებზე შეფენილნი ამორძალებად;
და მაგონებენ კვიპაროსთ ნარნარს,
ჩარუჯულ ტანთა ნიავისგან დამორჩილება...
შეძრწუნებული მინოტავრის მესმის კივილი, -
იეურებიან ტარტაროზნი დიდი თვალებით;
მე ტანტალოსის მეშურება ბედნიერება
და სული ბღავის არასოდეს დაბადებული...
თუ დამესახა მე ქაოსად უსივრცოება
და სახრჩობელად მისივ ლანდი დაობლებული,
მე ღამეს ფარდას გამოვსტაცებ, გავგლეჯ კბილებით,
უსასრულობა წყაროსავით შემიერთდება...

15.03.1967

* * *

თბილისურ ხედის ეკლესიები,
დაჟანგებული რწმენის ლამპარი;
გუმბათზე ჯვარი დაჩრდილულია,
მივიწყებული წმინდა ალაგი.

შემომეგებნენ ძველი კედლები,
წარსული თრთოლვით გადაქანცული,
სადღა არიან ნეტავ ბერები,
ვიღასღა ახსოვთ გადაკარგულნი.

ჩახლეჩილი ხმით წირვას ამბობდა
მღვდელი მოხრილი როგორც ნამგალი,
ღვთისმშობლის ხატთან მუხლებს იდრეკდა
აქ მხოლოდ რუსის თეთრი თავშალი.

მე მაინც მჯერა ტაძრის დიდების,
მზის სხივი მოსჩანს მისი სარკმლიდან;
და კურთხეული დათლილი ქვები
დამძიმებულან სიზვიადითა...

რამდენი თვალი, რამდენი მზერა
მათ ჩუქურთმებში გადაიმალა,
გადამსხვრეულა ბევრის ვედრება,
ბევრი ოცნება აქ ჩაიშალა...

17.04.1967

იეზიდი

იეზიდი არღანს უკრავს,
მომღერალი ქუჩის მღერის,
მას ტირილში ახსენდება
ტკივილები თავის ერის.

იეზიდი ორთავ თვალით ბრმა ყოფილა,
მას კენჭები ხურდა ფული ჰგონებია. -
აივნიდან ბიჭი მხიარული
კენჭებს აგდებს

და სიცილით იგუდება.

იეზიდი კენჭებს ჰკრებს და ისვრის,
მისი ტუჩი დუჟით შეფერილა;
იეზიდი თვალთა გუგებს ეძებს
და თავისთვის
ის რაღაცას იგინება...

დასრულდება იეზიდის გონებაში
უდაბნოის ცეცხლოვნებათ ქრობა...
წარმოსდგება მისი მზერის სიბნელეში
ათი ბავშვით ჭრელ კაბაში მადონა...

17.04.1967

* * *

ბორბლის ტრიალი, მზის ვარდნა,
მიწის ფერთ ცვალებადობა,
ელბრუსის თავზე ცა გადნა
და მასზე ფერფლი დატოვა...

ფერფლი ჭაღარა ჰგონიათ,
სიბრძნეს ელიან მთებიდან;
ფერფლის რუები ჩარბიან,
ღრუბელსაც ფერფლის ფრთები აქვს...

მინდა, სულ ფერფლმა დაძიროს
ცისკრის ვარსკვლავის თენება!
მინდა, რომ ბედმა გასწიროს
იმედის ცხენთა ჭენება!

ამ დღემაც ფერფლში იაროს,
გახმეს მუხა და წიფელი,
ხანძრით აიკსო ფიალა,

ცაო! ნულარ ხარ ცისფერი!..

30.06.1967

აჭარაში

სულ შეიწოვა ყიჟინა თურქის
აჭარის თხემის მწვანე ქოჩორმა,
ქარიშხლიანი მტვერი და ბუქი
დაბლა დალექა დვრტინვით ჭოროხმა...

შავი ზღვის ზვირთი არ იყო ბერწი -
ნაფოტი, ნავის ნამტვრევებია,
შავ ზღვაში ქვიშა და თითო კენჭი
მომხდურთა მვლების ნამსხვრევებია...

მაშ, რაღა ხდება შავშეთს და ტაოს,
კენჭები ლაზეთს არ ემატება;
თუ დავიჯერო ლომთა სადარნო -
ქართველებს მტერი არ გემეტებათ.

არავინ იცდის ტრაპიზუნდს, ხუფათს,
კახაბერის ხმალს ჯანგი მოედო,
დამძიმებულა, გაურბის ხიფათს,
გონიოს მიწას ფესვი გაიდო...

10.07.1967

საირმე

მწვანე ნაბდებში ჩაკარგულა სადღაც საირმე, -

ჩანჩქერის ვარდნა და გრიალი განუწყვეტელი.
სუყველგან მთები, დამსხვრეულო, ვერსად დაიჰნე!
წვიმა წაგიღებს მრავალ ცვცხლთა დამდუმებელი...

ჩანჩქერის ვარდნა და გრიალი განუწყვეტელი,
მწვანე ნაბდებში ჩაქარგული სადღაც საირმე, -
ირმების კვდომა, სნეულების ჯოგად რიალი...
ღმერთო, ამდენი საოცრება როგორ გაიღე!..

05.08.1967

* * *

მიწაში ქვევრის ნამსხვრევებია,
ბევრის დამსხვრევი რკინის აბჯარიც;
თუთფერის ცულებს დასმვლებიათ
მონაგონები, - სადღაა ჯარი!..

საკუთარ მიწის მცველი საფარი,
ჯაჭვის ჰერანგზე უფრო გამძლეა!
კედლებს აკრული ძველი ხმალ-ფარიც
ჯვარცმულ ქრისტეზე მეტად ტანმზეა!,,

სახეზე დნება ფიფქები თოვლის,
თრთვილი სიფიცხით ცვარად ქცეულა,
სისხლისფერი ღვინის დაცლილი ბოთლიც,
მიწაში ნაღმად ჩასაფრებულა!..

09.09.1967

მთვრალი სანთლები

ელექტროდენი გამოითიშა
და დიდ ქალაქზე ვარსკვლავებმა ჩამოიწია....
დამწვარი სუნი ასანთის ღერის
მე საკმეველად მომჩვენებოდა.
ავანთებ სანთელს მიკვირს, უცქერი,
ცის ვარსკვლავების ანარეკლია,
ალბათ ისინიც ბევრი ნათებით
დაიღლებიან და დადნებიან.
ბორგავს სანთელი, ანათებს კედლებს -
კედელს უცნაურ სურათს ახატავს.
დადის სანთელი რაღაცას ეძებს,
ციცინათელად გადაქცეულა.
თვრება სანთელი ჭატარა დარდით
და უამრავი სიხარულითა.
თავისი შუქით შენ დევად გაქცევს,
სიგიჟის ჯირითს თავს შემოგახვევს
და ხარხარისგან ფეხზე ძლივს მდგარი
ჩამოიღვრება უხეშ ჩუქურთმად,
მთვრალი სანთელი როკავს და მღერის,
დაატრიალა სუფევლაფერი,
არვინ დაინდო.
ნეტა სანთელი რატომ დაითრო?
რათ გამოიბა მან ცეცხლზე ბოლი?
მას ამ ჯირითში ამოხდა სული,
ვიდრე დაიდნო?
ელექტროდენი გამოითიშა
და დიდ ქალაქში დამთვრალ სანთლებად
ცა ვარსკვლავებით ჩამოიყარა...

01.10.1967

* * *

იქ ღრუბლებიდან ნიავი ქროდა,
ნიავი ცხელი, სუნთქვა ღვთიური,

ღამე ნაპერწკლებს უხვად აფრქვევდა
და მთვარეც იყო მზესავით ცხელი.
სულ ვარსკვლავებით მუჭა მევსება,
შემდეგ მათ მიწას ზედ გადმოვაყრი,
ცის ღამე მიწის ღამედ იქცევა,
იქნება ყველგან ღამე - ციური!
შემოიხედავს ათასი თვალით
აქ ერთდროულად ორივე ღამე,
შეშფოთებული სიწითლით ღამის
მე მაღლა ხეზე დავკიდებ მთვარეს!..

11.11.1967

* * *

ფრთამოგლეჯილი ღამის სილურჯეს
თოვლის ფიფქებად ვარსკვლავი სცვივა,
ცის ღამე მიწის ღამედ იქცევა
და დედამიწას აღარ შესცივა.

გამოიხედავს ათასი თვალით
მოოქროვილი ორივე ღამე,
შეშფოთებული სიფიცხით ღამის
ჩაეკიდება ტოტებში მთვარე...

1967

* * *

საოცრებაა ეოფიერების
გადატვირთული უაზრო ფიქრი,
გადათელილი ბორბლით, ღრჭიალით,
გამოშიგნული ძველი თოჯინა...

ლემადე, ირგვლივ ლემადე -
ქალაქს დააკლდა სალოცავები,
იქნებ შემთხვვით დავლანდე
გაშეშებული ცვენა ტოტების,
ნაკვალევების ფართო საფლავი -
ქუჩა ქცეული მუნჯ მატიანედ,
ქუჩა დაღლილი და აღგზნებული
იკლაკნებოდა ყალბ ფაქსიმილედ.

საოცრება და ეოფიერება -
ტვირთი უაზროდ გადათელილი.
ლემადე ერთგან, ყველგან ლემადე...
.....
არა მაქვს სისხლი მზეს შეფერილი...

31.12.1967

* * *

ტყეს შეაკრჭოლა ეინვის ტკაცუნმა -
აყვავილდება თოვლის ფიფქებით,
ტურის წივილში სევდას რა უნდა
ბედს განიკითხავს მთვარის ტიტრებით.

სიმღერას მღერის მყინავი ხმებით,
სიჟღალე მათი თოვლზე დარჩება
და ვერმომრევი „Never More“-ებით
ფრთების ტყლაშუნში გაიხლართება.

დახლართულია ობობას ქსელიც,
ძველ ნაფეხურებს ახლით დაფარავს.
ცის თაღზე გაჩნდა ვარსკვლავი ბნელი
და უნახავი სადღაც დავარდა...

ჩამავალი მზე ძნელად შორდება
თვალში ჩარჩენილ, გაჩერებულ მზეს,
ვერ შესწვდომია მისი გონება,
ვეღარ შეუცვლის ღრუბლებს თავის ფერს...

21.01.1968

* * *

ძლიერი მუხლი დაღლილი მგელის
ვეღარ ისვენებს მუხის ჩეროში,
უფსკრულებიდან ამოდის ცეცხლი,
მსხვერპლად შესწირეს ჰრომეთეოსი...

შევუმუვლებ არმაზს, გაცის და ზადენს,
დიდ საქართველოს აღსდგეს აჩრდილი,
ტრაპეზუნდიდან დარუბანდამდე
ცას გადაეკრას თეთრი მანდილი.

დიადი ენის იქცეს ჩანჩქერად
მეინვარწვერიდან ყველა მდინარე,
გაარღვევს კაშხლებს, აზვირთდეს ნეტავ, -
აღსდგომას ელის ერი მძინარე...

უხდება არმაზს ნაჯი შუბლის,
ბრინჯაოს ხმალი ელავს მკათათვეს
და თეთრ-გიორგის ნატეორცნი შუბი
საქართველოს ცას მიაჯაჭვავს მზეს!..

11.06.1968

მგელი სამყარო

სამყაროს ჟრჟოლვას ეღება ბოლო,
დიდ მდინარეთა გოლიათ ქროლვას,
მთების წარმოქმნას, მთათა შორის ზღვას
და ღვთის ისრების ცეცხლოვან ბოლვას!

ძველი სამყარო, სულ მშფოთვარე და ცვალებადი,
უფრო მკაფიოდ ჯოჯოთათვის დაიტირება
და დინოზავრი, დღეს ქცეული ადამიანად,
მამონტის ეშვის გახსენებით გაიგმირება.

დამძიმებულ დედამიწის საფუძველი,
დინოზავრთა ნარჩენებით აღიმართა,
მას სცვიოდა ვარსკვლავთ ჯგუფი მარბიელი,
რაც კომეტამ თავის კუდით წარიტაცა...

დედამიწავ, ძალზე ბევრი გაისტუმრე,
გულზე შეგრჩა მათი მძიმე ნაფეხური,
დინოზავრთა განწირული საუკუნე
შემოგვეურებს საიდანღაც მინაბული,
მისი მზერა, მიმალული, მომლოდინე,
ჩასაბრებულ ვეფხვის ხტომის თანაბარი,
დღეს მეოცე საუკუნის ნექტარცხებულ
მიწის არის
ძველი სევდის დანაბარი...

დიდი ხანია მოეღო ბოლო სამყაროს ჟრჟოლვას
და დატრიალებს დედამიწა შავბნელ ბურუსში,
აქ მხოლოდ ხვლიკი არ მოიშლის სულელურ მზერას
და რეპტილიებს ფრთების ნაცვლად ეზრდებათ ტუჩი.

07.1968

* * *

დაიწვეს თოვლი! თოვლი დაიღვა...
მომბეზრდა თოვლი და ფერი თეთრი,
დაიწვა თოვლი და თეთრის ნაცვლად
გადმოიღვრება ცისფერი ფერი.

იწვის სოფელი ცისფერი ცეცხლით,
ქარი დაკრიფავს ხეებზე ფოთლებს...
და ცისფერ ცაზე ცისფერი ბოლი
ბადებს ღრუბელთა ახალ ქარავნებს.

ზე ავარდნილი სიმღერა თრთოლვის
მოფენილია მთელს არემარეს,
სიმღერა ძრწოლვის, წივილი სულის
დაატრიალებს ყველა ჰლანეტებს...

სასაფლაოზე დგას ოშხივარი
და დედამიწა ისევ ბერდება...
არ მოიღლება მხოლოდ აქ თვალის,
სევდის ცისფერი გამოსხივება...

17.11.1968

ფიქრი

ნუ გიხარია, რომ ხარ ობობა
გადახლართული ნელი ფიქრებით,
შემოფრინდება სილურჯე ღამის
ფრთამოგლეჯილი განწირულებით.
მოსტაცე მთვარეს ღამის საფარი,
დააკელ მიწას ფიქრის მადანი
და თვითმკვლელური გრძელი თითებით
თავზე დაიდგი ბაწრის გვირგვინი.
ნუ გენატრება სიცილი ბავშვის
და ჯაბუკური უდარდელობა,

გრძნეულ სიყალბეს მოგიბარბაცებს
შენ თვითმკვლელური აღფრთოვანება.
გიახლოვდება ზედმეტ სიცხადით
ჩამოხრჩობილი ბოღმით ვარსკვლავი;
მოხუცდა სული ობობასავით,
ფიქრსღა შერჩება მისი ნაკვალი.
ობობას ტანზე ეწვება ჯვარი,
შეღებავს ფიქრებს წვეთი წითელი,
ყელგამოჭრილთა სიმჭოზიუმი
მოგესალმება თავგამოდებით!..

07.12.1968

ბაიათი საქართველოსი

გადარეული შეიხის ცეკვა
მოსჩანს სახრჩობლის გართხმულ ჩეროში,
ზურნის კივილი, დუდუკის კვნესა
და ბაიათი საქართველოსი.
ღვთისმშობლის ხვედრი და ხალიჩა გადაცრეცილი
თვრება შარბათის, ნექტარული ტკბილი თასებით.
ზოგი აშულობს, ხოლო ზოგი სკვითურად მღერის,
უღიმიან საქართველოს მეტასტაზები.
ლილეოს ძახილს ბაიათის შეცვლის გოდება,
უშგულის მთაზე ჯადოქარი ხარხარით კვდება...
ოღუზთა ჯოგებს ჩაუფშვნიათ მეფეთა ძვლები,
ძველ ნაფიქრალებს საუკუნო ლოდი ედება...
.....
მიმქრალი მთვარით განათებული
ფოთლების გრიგალს კლდეც ვერ გაუძლებს...
დღეს აკუწული, ხვალ მოკვეთილი
მირახრახებდა საქართველოს დღე...

25.02.1969

თვალი

ეძინა და ხედავდა, რომ მას თვალი უყურებდა, ცალი თვალი,
რომელიც ძილის ბინდში ძვირფას ქვად ელავდა და უახლოვდებოდა.
თვალის ჯიუტმა ცქერამ შეაშფოთა და გამოაღვიძა. თვალს ვეღარ
ხედავდა, მხოლოდ გრძნობდა. თვალი მის წინაშე გაშეშებულიყო.
უნდოდა დაევიწყებინა და ვერ ივიწყებდა. თვალი მას მდუმარეთ
შეყურებდა და დუმილით ჰკიოდა. და ბოლოს მიხვდა, რომ
თვალი მას ვერ ხედავდა და ვერაფერს გრძნობდა. თვალი
მის იქითაც ვერ იყურებოდა. თვალი მკვდარი იყო.
მას უყურებდა უძრავი თვალი. და გადაწყვიტა –
აღარ დაენახა თვალი...

19.08.1969

* * *

არც ერთი ღმერთი შვენ არ გვიშველის,
რკინაასხმული, თვალებალმასა,
ღმერთად გვჭირდება ჩვენ საქართველო, -
ხმალი გვჭირდება თითბერის ფერის...

იწვება ცეცხლში სალამანდრა,
ირღვევა მთები,
თვალი იქვევა იაგუნდისად,
ნამტირალევი...

24.12.1970

* * *

ალბათ მაღლა სადღაც ცაში
თოვლს რომ შეცივდება
მიწისაკენ წამოვა... და
დაბლა-დაბლა წვება.

თითქოსა და მორღვეულან
ვარსკვლავები ციდან,
თითქოსა და ცა დარჩება
მთვარის ანაბარა.

მოდის თოვლი, თითქოს მიწაც
უფრო ჩქარა ბრუნავს,
თითქოს თოვლის კარუსელზე
დატრიალდა ქუჩა.

იკვეთება ეინულებში
ორმოცდაცხრა მატერიკი,
ყველა ვარსკვლავს ჩამობარდნილს
ელის ცხენი ფათერაკით!

ეინულაინი ჯაობი
გველოდება თეთრი თევზით,
შვიდჯერშვიდი გაოცება
გაბაწრული გველის თმებით...
.....
შემდეგ მოვა მხედარი,
ოქროსაბჯარიანი
და ვარსკვლავებს მიაჭედებს
მთვარისა და მზის გზაზე!..

13.03.1972

* * *

უმძაფრესია განცდა სიკვდილის
და აღქმა სიცოცხლის
(პასუხი კითხვაზე ყოფნა-არყოფნის!)
ყინულისფერი გაქვს შიშის შიში...
როდესაც კვდები იცი და გესმის
არაფერია სიცოცხლე
და უაზრო სიკვდილი,
რომელიც მხოლოდ აღნუსხავს ფაქტებს
და გაღრღნეინებს კბილებით პარკეტს...
სიცოცხლე ხელოვნებაა,
სიკვდილი - შემოქმედება კაცთათვის...

03.11.1975

იქნებ...

როცა არ გვინდა ვინმეს გაწირვა
არ გვიხარია ხოლმე ქართველებს
და ვფიქრობთ ხშირად,
                იქნებ რა იყო,
იქნებ რა დარდი ღრნიდეს სამარეს...
.....
 იქნებ უნდოდა რომ ქარს დაეზრა
 გადამხმარ ხეთა კორიანტელი,
 იქნებ უნდოდა გადაეთელა
 უერთგულესთა უგონივრობა,
 იქნებ უნდოდა მოვარდნილ ქარბუქს
 გადაეკარგა მისი სახელი,
 იქნებ უნდოდა ცეცხლი დაენთო
 მისი ცხოვრების გადამბუგველი,
 იქნებ უნდოდა ბედის მუხთლობით
 ეჩვენებინა გზა ჭეშმარიტი,
 იქნებ უნდოდა სამშობლოსათვის

გამოეკვეთა კლდეში ტაძარი,
იქნებ უნდოდა რომ საქართველო
გადაერჩინა თავის დაცემით!..
.....
იქნებ ამ აზრით განათებულმა,
მან მიაღწია მნელად მისაღწევს,
იქნებ ილიას მკვლელობის შემდეგ
დასაჯა ერი, თავისი თავიც,
იქნებ ეკლიან გზებზე ტარებით
უკვდავებისკენ მიჰყავდა ხალხი,
იქნებ აჩვენა ყველა ჩვენთაგანს
ყალბი დიდების დღემოკლეობა,
იქნებ აჩვენა მან ყველა ქართველს
სხვის სამსახურის უმადურობა,
იქნებ გვაჩვენა თავის მზის ქრობით
მამულიშვილთა მზის სიკაშკაშე!..
.....
იქნება როგორ შურდა მას ხოლმე
ქართლის ლაჟვარდში ჩიტის ჭიკჭიკის...

18.06.1979

* * *

ბერიკაცი ვარ, მე მომკალ,
ცხოვრება ბევრი ვნახეო!
ტანს მოასკდება ლაწანით
მახვილის ალესულობა.

სული შორს მიჰქრის მწივანი,
საგზლადაც რაღაც გაჰყვება...
სევდა და დარდი მიწური
ვარსკლავებრ გაცისკროვნდება...

12.12.1979